

F 24  
1888

36P1353四自  
80320101035

၁၂၃၈၄၀

საქოველ-ქვირაო სალიტერატურო და საგასატვრო გაზეობი

1888 ଶକ୍ତି

No 15

გარემო 8.

გაზეთი დანს: ერთის წლ. 5 მ., ნომ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 ქ.  
ხელის მოწერა მიღება: თბილისში რედაქტ. კანტორაში. ფოთში  
ბესამ. კალანდაძესთან. ადრესი გარეუ მცხვრებით ვის:  
Тифлисъ, въ редакцію газеты „ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისე დება: თბილისში  
ჩაკვიანის წიგნის მაღაზიაში; და ბ-ნ ხიდეკელთან — გო-  
ლოვინის პრისეპტზე.

საგამზოოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარევევით  
უძღვის დაწერილი. თუ სატიქოობა მოითხოვს წერილებს რედაქცია  
უვასწორებს. რედაქცია არა კისრილობს წერილების ჟურნალის და  
მათ ჟურნალის მიწერ-მოწერას.

კულტურული მუნიციპალიტეტის გუბენის მთხოვნეული: საჩველი, გვარი და სა-  
ცხოვრებელი ადგილით დაწერილია.

გისაც შარშან გაზ. „თეატრი“ ქვეონდა დაკვეთილი, გაეგზავნება ხელის წერძები შემოტანასთან დასის დაგვარად და ამისათვის უმოაჩილესად კოსტუმი მომწერთ, კინც საცხოველებელი პინა გამოიცემლა, შეგვა ტურნირის თავიანთი ასალი ადრესები.

66

ତମିଲନାଡୁ, ୭ ମେରେ।

მნელია, რაკი ერთი ნახტომი შეეძლება გაზეთსა  
თუ ქურნალს—გაუტევდება აბრუ საზოგადოების თვალ-  
ში; მერე ერთი ათადაც უკვე რომ აწარმოეოს თავისი  
საქმე, მაინც დიდი დრო და ხანი მოუნდება, რომ  
კვლავ რიგიანობის სახელი მოიპოვოს და თავის სი-  
ტევას შესაფერი ფასი მისცეს.

ჩვენ კარგად გვესმის ეს ვარემოვბა, ვიცით, ოთხ  
ჯერ-ხანათ მოკლებული ვიქწებით საზოგადოების თა-

ნაკრძნობას, მაგრამ მაინც გულს არ ვიტეხავთ და მტკიცება გვაქვს გარდაწევიტილი გაზ. „თუმცის“ გა-გახახლება.

სულს გვიდგამს და გვამსნევებს ის ცხოველი იმე-დი, რომ თუმცა ჩვენი განათლებული საზოგადოება ჯერ მცირეა რიცხვით, მაგრამ მოიპოვება მაინც ერთი ნა-წილი, რომელსაც უსწავლია არა იმიტომ, რომ ცხოვ-რებაში გამოსვლისათანავე ამოირეცხოს გულიდამ უო-ველივე სალისი ზნეობისა, კონების და აზრების გან-კითარებისა, —არამედ ძლევა-მოსილ ჭეშმარიტების მი-წევით, რომ „ადამიანს სიბერებდის სწავლა არ მოს-ჭარბდებათ.“ ეს ნაწილი ჩვენის განათლებულ და მო-სწავლე სეზოგადოებისა, ჩვენის აზრით, მისცემს „თუ-ატრის“ იმოდენა ძალასა, რომ რედაქცია გაზეთის უმ-თავრესს საჭიროებას მაინც გაუძლვეს და შეუჩერებლივ განაგრძოს თავისი საქმე.

ჩვენში ჟურნალ-გაზეთობის საქმე ჯერ იმ დონეზე არ დაძღვარა, რომ ნივთიერი შემოსავალი აძლიოს კაცსა და აღებ-მიცემობის სავნად იუს... ჩვენი მხურ-ვალე სურვილია შეძლებისა დაგვარად ვემსახურნეთ ქართულ საზოგადოების გონებრივსა და ზნეობრივს წარ-მატებას. რამდენათაც დავისმისახურებთ ამ მხრივ მკითხველის უურადღებას, ჩვენი ჯილდოც ეს იქნება.

ეს არის ჩვენი განზრახვა. თუ ჩვენის მეცადინეო-ბით მივიჩეარით საზოგადოების უურადღება და შევსმე-ლით ამ რთული საგნის გამოღოლა, ვიმეორებო, ეს რქნება ჩვენი უტყებესა და ერთად ერთი ჯილდო.

## ახალი აშენები

როგორც შევიტემ ქართული დრამატული დასი მომავალი ჰქონილამ დაიწევებს წარმოდგენების გამართვას.

ქართულ მოძღვრალთა შორის მეთაურს ბ-ნს ადნია შეიდას მოსკოვის „ერთად „ეპრამანანია“ ფერიად გადაკეთდეს სცენაზედ წარმოსადგენად.

თბილისის სასულიერო სემინარიაში შემ დაიწევეს გამოცდა მოსწავლეთა.

ქართულთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-დოების სასარგებლოდ დანიშნული სეირნობა და ლატარია-ალლეგრი გადაიდო 22 მათხისათვის.

ამ ქამად წინამდგრადიანთ კარის სამეურნეო სკოლაში სწავ-ლობს სულ 47 ქმარებიდან: ქართლელი 24, კახელი 2, ფშაველი 5, იმერელი 13, რუსი 2 და ერთიც სომეხი.

ისტორია მდივანოვისაგან შედგენილი წიგნი „Самоучитель русского и грузинского языковъ. Словарь употребительнейшихъ словъ. ლექსიკონი ფრიად სახმარის სიტუებისა.“

არტასტეს გ. აბაშიძეს შეუკრებია დასაბუჭიდათ: სხვა-და-სხვა სცენები, ლექსიკი, მონოლოგები და ერთ მოქმედებიანი კომედიები. ცემოსსენებულთა შორის არის „სამმოხლო“-ს მესუთე მოქმედება.

ამ პანტერნის დაბუჭიდება უკიდისია ბ-ნ გ. ჩარგვანის.

8 3 5 3 5 6 0.

(ဗုဒ္ဓဘာသုပည်တော်မြတ်ကျော်မြတ်ဘုရား)၊

Ոյս ևսո մցալոնծելո, լմերտո տէլլենո մ՛կալոնծելո.

იყო და არა იყო რა, ლეთს უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი პატარა ქალი—თაფლო. სამი წელიწადი ქალაქს იყო დედასთან და შემდეგ სოფელში დაბრუნდა. ჩეიდმეტის წლისა იყო და, მაშასადამე ბოვშეი აღარ იყო; ხომ გაგიგონიათ—ჩეიდმეტის წლის ქალი, ან ქვის ქვეშა, ან... ტანით ლერწამი იყო, სახით მთვარე, თეალებით... თვალები გიშრისა ჰქონდა და სულ ცეცხლს აფრქვევდა. ვიწრო ფეხსაცელი ეცვა, დიდი ტურნური ედვა, და უშლაპოდ გარეთ არ გამოადიოდა. მრთის სიტყვით თავის სილამაზის ფასი იცოდა და თაემომწონე იყო,

თავის ნებისა;

፲፻፷፭

აშარი,

‘ପ୍ରକାଶନ’

## 05 ዓዲስ አበባ

აკმეცელა

და პირ-მოთნე, ერთობ შექმუბილი იყო ყველათრით, რაც კი უყინლათრით სრულ „გასათხოვაზ ქალს მოეთხოვება.

მრთხელ ფოფოდიამ, თაფლოს დედამ, ნიგვზის ქადა  
გამოაცხო და თაფლოს მიუბრუნდა:

— ჟალი, შეიღო, ერთი ბატონიანთას ჩაირჩინე და მა-  
შილდურებს პატარა ქადა ჩაუტანე, თორებ ხომ იცი, ბატონიან-  
თას ადამიანი თავის დღეში კუჭს ვერ გაიძლობს.

ზაუქარიდა თაფლოს: შლიპა დაიხურა, ტუფტლები ჩაი-  
ცვა, ქოლგა გაშალა და გზას შეუდგა. ჩვილმეტის წლის ქა-  
ლის გული ნამდევილი მაისის ვარდია: როგორც ვარდი თავის

კოკორს მზის სხივებს უშლის, ისე ქალის გული იშლება ამ ხანში და სიყვარულით აღგზნებულს ქვეყანა სამოთხე ჰგონია. მაგრამ თაფლო სულ სხვა რიგი ქმნილება იყო: სიყვარულისა არა გაეგებოდა რა, რადგან დაბადებისას გული არ დაჰკოლოდა და როდესაც მის ტოლები მხოლოდ სიყვარულზედ ფიქრობდნენ, მხოლოდ სიტყვას „მიყვარხარ“ ან „მიყვარს“ ხმარობდნენ, ის სულ სხვას ფიქრობდა: თუ ერთი ვიპოვნე ვინმე, ფულიანი და მამულიანი, როგორ ჩავაკნატუნებო! ასე ფიქრობდა, რადგან მის ლექსიკონში აღამიანის ზეობა, ვალდებულებანი, მოკლე სიცოცხლის იდეალი სამი სიტყვით იყო გამოთქმული:

მამული,  
 ცული  
 და დიდება.

ამ ფიქრით გატაცებული თაფლო ხშირად დასეირობდა ხოლმე სკოლის ახლო-მახლო და ერთ დილას, უცბად ბატონის შეილი კი შეხედა. მრთმანერთს გადახედეს და თვალი თვალში გაუყარეს. თვალი გაუშტერა პატარა თაფლომ ბატონის შეილს, ააწითლა, ააქრეოლა და ბოლოს ტკბილად, მიმზიდველად გაუცინა და თავი დაუკრა:

— ბატონის შეილს გახლავარო!

სწორედ თმის ძირამდის გაწითლებულიყო საწყალი ბატონის შეილი და როგორც იყო წაულულლულა:

— თაფლოს გაუმარჯვოსო!

ბატონის შეილი ოცი წლის ყმაწეილი კაცი იყო, ტანადი, ახოვანი, თეთრ-წითლად ღაედავი გაპერნდა; მაგრამ რამ-დენად ფიზიკურად სრული იყო, იმდენად გამოუცდელი, სიცოცხლისა არა გაეგებოდა რა და ქალის მაცდურობისა ხომ ამა რაღა თქმა უნდა.

— მს ბიჭი ძალიან მომწონს, სოქვა თავისთვის თაფლომ. ძალიან კარგი ბიჭია! ცოტა განზედ იწევს, მაგრამ ეგარაფერი: ისე მოვაჭვეიანო, თითონვე უკვირდეს! მაგას უნ-

და თავი შეეაყვარო, სიგიფემდის ან... ქორძინებამდის—ეს ხომ ერთი და იგივეა. და ერთ დღეს ვნახოთ, პატარა თაფ-ლო ბატონიშვილის შეუღლე ვიქნები და ბატონის რძალი.

(შემჩერა იქნება).

\* \* \*

**რ**ა ამ ცხოვრების შფრთიან ზღვაში  
თავ-და-პირელად შემოესდგი ფეხი,  
შური, ღალატი, დევნა და კიცხვა  
თავს გადმომენგრა, როგორც რომ მეხი.

მაგრამ ამისთვის ბედს არ ვემდური,  
არ ვეუბნები მე მას საყვედურს;  
შბედურება თუმც კვალში მიღვას,  
მაგრამ არ ვეტყვი ჩემს თავს უბედურს.

მითხარ, რას ჰგავს ის, ვისაც რომ ტანჯვა  
აქ არც უნახავს და არც უგრძენია  
და ვის მრუდ-გზაზედ მგზავრობის შემდეგ  
სწორი გზისათვის არ მიუგნია!?

ის სოფელ-ქეყნად ბრმადა შობილა  
და ცხოვრებისთვის იგი ბრმა არი;  
იმას არ ესმის, რისთვისა სცოცხლობს,  
რას ჰგავს ცხოვრება, ან თვით რა არი.

ვის გულზეც ტანჯვის ლაპვარს სერები  
ღრმა ნაპრალებად არ ჩაუჭდია,  
ვით უბედობა, ისე დამტკბობი  
ბედნიერება მას არ უცდია.

და კაცისათვის იმაზედ მეტი  
უბედურება არის-ღა განა,  
რომ ქვეყნად იყოს და ვერა გრძნობდეს,  
რაა ცხოვრება და ეს ქვეყანა?..

მე კი მუდამ-ჟამს ბედთან ბრძოლაში  
 დღესა და ღამეს ერთად ვასწორებ  
 და ცხადათა ვგრძნობ ამ ჩემს ცხოვრებას  
 და მას, რისთვისაც ამ ქვეყნად ესცხოვრებ.

და მწუხარე ბედის ვარსკვლავმა  
 ამ ჩემს შავ-ბედზედ იგლოვიზაროს  
 და ბოროტო გუნდთა შავმა ენ ებმა,  
 შხამით ცხოვრების გზა მომიღვაროს!..

ამ გეარ დევნაში გმირნი ძლიერნი  
 ბედნიერებას ხ მირად ჰქედავენ;  
 მგრგვლივ შემოგყეფენ უძლურნი შურით  
 და ახლოს მოსელას კი ვერ ჰბედავენ.

ამპარტავნულის ზიზღით დასცერ მათ  
 და კვლავ გეძლევა ძალი ახალი,  
 რადგან მაშინ ჰყრძნობ, თუ რამოდენათ  
 ჰყოფილხარ შენ მათს გუნდზედ მაღალი.

ცასეჭი.

შართული სწორმეტყველება, საშინჯი სახელ-  
 მძღვანელო, პირველი წიგნი, შედგენილი პ. ძვირარიძის მიერ,  
 გამოცემული ზ. ჭიჭინაძისგან. 1888 წ. თბილისი.

რამოდენადმე ხეირიანის გრამატიკის უქონლობა ისე სა-  
 გრძნობელია ჩვენში, რომ სიხარულით ვეგებებით ყოველს  
 ამბავს, რომელიც კი გაერცელდება ხოლმე გრამატიკის შედ-  
 გნის ან გამოცემის შესახებ. ვიცით რა ძნელიც არის გრა-  
 მატიკის შედგენა ჩვენში, სადაც არაფერი საგრამატიკო მასა-  
 ლა მოიპოვება, სადაც გრამატიკის მეცნიერება თითქმის იმა-  
 ვე დონეზე დგას, როგორჩედაც დასტოება ანტონ ძათოლი-  
 კოსმა ამ ასის წლის წინად. პშიტომ ბატონის ძვირარიძისა

დიდი მაღლობელი უნდა ვიყვეთ, რომ უშრომია ზემოდ და-  
სახელებულის წიგნის შედგენისათვის. დავუმადლოთ აგრე-  
თვე ბ. ჭიჭინაძეს, რომელსაც ეს წიგნი გამოუცა. შრომა  
და ხარჯი, კეთილის განძრახვით გაწეულნი, ყოველთვის მა-  
დლობის ღირსნი არიან.

რაკი ჩეენი ერთი ვალი გადავიხადეთ მით, რომ მაღლო-  
ბა გამოეუცხადეთ ავტორსა და გამომცემელს, საჭიროა მო-  
ვიხადოთ მეორე ვალიც მით, რომ სინიდისიერად დავაფასოთ  
შრომის სიავ-კარგე, გამოვთქვათ ჩეენი აზრი წიგნის შინაგანს  
ღირსებაზე.

სწორედ მოგახსენოთ, ძალიან გაგვიკეირდა, როდესაც  
ქვიცარიძის სწორმეტყველება ში იმოვიკითხეთ შემდეგი:  
„გრამატიკა საერთოდ არ არის მეცნიერული შრომა (გვ. 24).“  
ჩეენ სრულებით წინამდების აზრისა ვართ და ეფიქრობთ,  
რომ გრამატიკა უშეველად მეცნიერული შრომა უნდა იყვეს,  
რომ ყოველს გრამატიკის შემდგენელს უნდა მოვთხოვოთ  
მეცნიერული მეთოდი, კრიტიკა და სითხილე. ზრამატიკა,  
თუ მეცნიერება არა, მაში რა უნდა იყვეს? ხელოვნება? მუ-  
ეს მართალია, მაში ყოველს ენაში იმდენი გრამატიკა უნდა  
იყვეს, რამდენიც შემდგენელია. ხოლო გრამატიკა კი ერთია  
ყველა ენაში, როგორც ერთია გეოლოგია, ანთრაპოლოგია  
არქეოლოგია, ისტორია. მართალია, სხვა და სხვა გრამატი-  
კოსების შორის ხშირად არის ხოლმე აზრების სხვა-და-სხვაო-  
ბა, უთანხმოება, მაგრამ ეს იმავე მეცნიერულის შრომის შე-  
დეგია, როგორც გეოლოგოსების, ან ისტორიკოსების შორის  
მომხდარი უთანხმოება. ზრამატიკის იკვლევს ენის თვისე-  
ბას და გვაძლევს იმ წესებს, რა წესებითაც უწერიათ, სწრენ  
ან ლაპარაკობენ. მან თავის მოგონილი, შეთხული, ენას  
არაფერი უნდა მოაწეოს რა თავს, ყოველივე მისგან და-  
სკვინილი სწორმეტყველების წესი ენის თვისებაზე უნდა იყვეს  
აგებული.

ბ. ქვიცარიძე თავის შემუღარს აზრს, რომ გრამატიკა  
საერთოდ მეცნიერული შრომა არ არისო, უმატებს: „რა თქმა

უნდა, ვერც სწორმეტყველების წიგნაკებს შესწამებს ვინდე მაგ საჩერელია.“ მს კი მართალია, ქეიცარიძე ნამდვილს ამბობს, რომ მის წიგნს არ დაერქმის მეცნიერული შრომა, რადგან იგი გამოკიდებია თავისებურის ხელოვნურის კანონების გამოგონებას, რომელიც მიუძღვნია ახალგაზღობისათვის სახელმძღვანელოდ. პეტორის არ ნდომებია გრამატიკის მეცნიერული გამოკვლევა, არამედ „მართლ-უბნობის“ წესების დაწერა, რისთვისაც თავის შრომისთვის დაურქმევია სწორმეტყველება, ე. ი. სწორედ ლაპარაკის ხელოვნება.

თუ რამოდენად სახიფათოა გრამატიკულისთვის კანონების გამოგონება, ამას ქეიცარიძე თვითონაც გვეუბნება და ნათქვამს, ჩვენ საოცრად, თითონვე გვიმტკიცებს თავის მაგალითით. პეტორი ამბობს: „თუ გრამატიკი კანონების გამოგონებას გამოკიდა და იგი (რა?) მისუა ახალგაზღობას სახელმძღვანელოდ, მაშინ რა მოხდება? ის რომ მის ტიბიკუნს ყურს ავლებენ (?) და თუ ვისმე დააძალეს მათით (რით?) ხელმძღვანელობა, ენა გახევდება, გამკვანდება, უკმინებობა მოერევა, მძიმე წყობილება მიეცემა და ბევრათ დაბლა დადგება იმ დაბიურს, ხალხურ ენა-კილოზე, რომელიც არის უცხოელესი, უმჭევრმეტყველესი, ვინემ მკაცრად გრამატიკურად ხელდასმელი (?).“ ჩვენ სრულიად თანახმა ვრჩთ ამ ამონაწერში გამოთქმელის აზრისა, რომლის დასამტკიცებელს მაგალითს გვაძლევს თვით ბ. ქეიცარიძე. მართლაცა და მის ენა, რომელისაც აჩნევია მისგანვე გამოგონებულის კანონების ზედგალენა, რაღაც „გახევებული, მკვანე და უკმინებია;“ წყობილებით საშინალად მძიმეა და ბევრათ დაბლა დგას იმ ჯაბიურს იმერულს კილოზე, რომლისთვისაც ავტორს ისე მკაცრად „დაუსვა ხელი.“

ზრამატიკული უმართებულება, ახლად შეთხული ტერმინები, ქართულის ენის წინამდევი სიტყვათა დალაგება და ადგილობრივი ან მოძველებული სიტყვები მეტის მეტად აძნელებენ სწორმეტყველების კითხებს, და მკითხველს უკარგევენ წაკითხების სურვილი. მს არის ქეიცარიძის გრამა-

ტიკის თავი-და-თავი ნაკლულებანება, რომელიც არ მიეტევება. მრთლაცა და ჩა მისატევებელია ამნაირი წერა:

1) „თუ გამსაზღვრელი სიტყვა სახელი, რომელიც შესთანხმებია თავის მსაზღვრელს ბრუნვასა და რიცხვში და განცალკევებული კია მისგან, ასეთს განსაზღვრებას ქვია სიშეტნე“ (გვ. 13).

2) „მარამა თუ ამ კანონების შემდგენელმა არ კი უნდა შეხუთოს და შესხტოს (?) ენა თავის კანონმდებლობით (გვ. 24).

3) „თვით ბევრანი პირველ და პირველ ცოტანი ყოფილან რეცხვით, და მათი ნაკლებობა აღისებოდა (?) სხეულის მიმოძრავასან, რასაც მაშინ ბევრათ უფრო ფართო სახმარობა ჰქონია, ენემ ახლანდელს ენებში“ (გვ. 26).

4) „ამაში საჭროა უწარჩინებულების მწერლებისადმი (ჩა?), თორემ მოხდების ისეთი აღვირუსებრობა, როგორც მოსდით ზოგიერთს ვაკე-იმერეთის და ქართლის გლეხებს, და ზოგჯერ მწერლებსაც კი“ (გვ. 41).

ბ. ქვიცარიძეს თავის წაგნი აუქსია ახლად გამოვინებულის ტერმინებით, რომლებიც, უნდა ეთქვათ, ვერაფრით სჯობიან იმ თავითვე მიღებულებს და ხმარებულებს. მაგ: საუბნი (ქვემდებარე), სახელომი (შესმენილი), დართვითი (ზედშესრული), ენასხმული (დიალეკტი) და სხ. ხშირადა ხმარობს აგრეთვე სასაცილო და უშნო სიტყვებს, მაგ. სიმჭიდრსნე, სამჭირო, უმიგვარობა, აღსულობა, სამთელურო, ზეწრული, საყოველპურო (იქნება საყველპუროს მაგიერ), აღმოიტყველების, გამოითიშვის, განსრდების და სხ. ხანდახან თხზავს სიტყვებს ეითომ ანალოგით, მაგ. თანაპარი (წინაპარის მიხედვით). პეტორს რატომლაც აუქემებია სიტყვა შანკრაქული და როცა უნდა აძვროს ჩამე, იმას ხმარობს. მრთს აღავს ამბობს ბ. ქვიცარიძე: „ქართველი კაცი თავის დღეში არ იტყვის სიტყვას, მაგ. ჩვენ ისე მაგრათ, რომ გამოვიდეს შანკრაქული ჩვენ.“ ნეტა ვიცოდეთ რით განირჩევიან ქართული ჩვენ და შანკრაქული ჩვენ?

სწორშეტყველების აეტორი სრულის სიმართლით ამბობს, რომ სალიტერატურო ენის „საფუძვლათ უნდა იყოს ქართლის მცხოვრებთა სიტყვა პასუხით,“ მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თვით აეტორსავე ეკრ შეუთვისნია ჯერ კიდევ ქართლური „სიტყვა-პასუხი“ და იმერული კილო შეუზავებია ძეველის მწიგნობრულის კილოთი.

ვიღრე თვით გრამატიკის დაწერილებულს კრიტიკას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ორითდე საზოგადო შენიშვნა. ჩეენს აეტორს შეენიშნეთ ორი დიდი ნაკლულებება, რომელიც არ შეუვენის მეცნიერებისთვის მშრომელს კაცს. მრთია ეროვნული თავვამოდება, მეორეა უხერიობობა. აკტორი როგორც მეტის-მეტად თავვამოდებული ეროვნულის ღირსებით, გვეუბნება შემდეგს ტყუილს: ურაც კი რამ ნაწეროვანი ბევრა შეუძლია გაიღოს ადამიანის სამეტყველო ორგანოებს, ყველა ის ბევრანი იპოვება ქართულს ანბანში, თვითო სახედ, სადათ და ძალდაუტანებლათ გამოსათქმელნი.. არ არის ისეთი ენა, რომელსაც იგი არ მოერგოს“ (გვ. 27) ამის წინაამდეგ ჩეენ ვიტყვით, რომ ადამიანს შეუძლია ბევრის ნაწეროვანის ბევრის გამოღება, რომლის ამნიშვნელი ასო ქართულს ანბანში არ მოიპოვება; არიან ბევრი ამისთანა ენები, რომლებსაც ქართული ანბანი ვერ „მოერგება.“ შორს ნუ წავალთ, დაიწერეთ რუსულის ენით. აბა რა ასოებით გამოხატავთ ქართულად რუსულს ბევრებს: e, φ, შ, ხ, ы, յ, ю, θ? აბა დაწერეთ ქართულის ასოებით სიტყვები: ежъ, пыль, нацизм, гняня, союзъ, чеофанъ. სად მოიპოვებიან ქართულს ენაში ფრანგული ბევრები: e, f, l, m, n, u, eu, oeу? აბა როგორ დაიწერება ქართულის ასოებით სიტყვები: peloton, lune, faim, on, peur, coeur? სად არის ქართულს ენაში გერმანულის ბევრების მაგიერი: ä, ö, ü, eu, ı?

აი აეტორის უსერიობობის ერთი მავალითი:

„მანდამაინც არც ისე სახაბიიელო რამ არის ეგ ფ. იგი არა სააზნო ბევრა და კეთილშობილური სიტყვა-პასუხის შე-

საგვანი. მისის გამოთქმის წამს ბაგეთა საზიდნი (მუსკულები) ძალზედ იჭიმებიან, ბაგები (?) მაგრდებიან, სიალფერეს კარგვენ და ლიბრდებინ; ზევითი ბაგე უნდა წინ წაშვირო, ქვეითი უნდა დაჭმუხნით წინაპბილებს მიაბჯინო და ისე დაშტვინო, რომლის (?) დროსაც შეიძლება დორბლის წინწკლებიც მოხვდეს შენს ახლო მდგომს მეზობელსა. მს რა საკეირველია ვერაფერი თავაზიანობაა და არც სასიამოვნოა პირისახის დაღმეჭა. მართველის კაცის ზრდილობა და სახიერება ძველიდამვე ნაქებია, მისი სააზიო ენა თავისს საკუთარს ასოს ეისაც (ვ—საც თუ), რომელიც თითქმის ჭ-სებ გამოითქმის, არ გუობს (?) და რა თქმა უნდა, ასეთს უცხო ბგერას, როგორიც ჭ არის, ვერ შეიტკბობდა“ (გვ. 33).

რაც აქ ჭ-ზე ნალაპარაკეებია — სასაცილოა მეტის მეტად და სრულებით არ შეეფერება სახელმძღვანელოს შემდგენელს.

რაც ვთქვით, საზოგადოდ ვთქვით, შემდეგში შევუდგენით გრამიტიკის კერძო ნაწილების გარჩევას.

დ. დეკანოზიძე.

1 მაისი.

## წ ვ რ ი ლ ე ა ნ ი

(ახალი ამბები)

რადგანაც მოსწავლენი დედათა სქესის სასწავლებლებში განებით ძალიან იღვებიან, ამისათვის ჰუსიაში გადაუწევებით,

რაც კი შეიძლება, შეამცირონ სასკოლო ჭავაზა: ამის შემდეგ მოსწოვეულები საქართველოს აღარ გამოსცდიან; საშინაოდ გაკვეთილებს იძლენს მისცემენ, რომ იმათ დასწავლას დაბალი კლასის მოსწოვეულენი ერთს საათზედ მეტს არ მოუნდნენ, შეა კლასებისა—საათსასებრზედ და მაღალი კლასებისა—თრ საათზედ მეტს. შინადამ კლასში მძიმე წიგნები და ნოტები არ უნდა დაჭვონდეთ.

\* \* \*

თვეორთუსის უნიკარტის მმართველობას (администрація) აქვს ფიქრად, მომავალს წელს გაგზავნოს სტუდენტები ჰალესტრიანაში. სტუდენტებს რამდენიმე პროფესორი გაჲყება. მოგზაურები დაათვალიერებენ წმიდა აღგილებს და აღხად ეპკომისტებიაც შევლენ.

\* \* \*

თბილისის საქალაქო საბჭომ დააწესა ახალი გადასახადი, იმ სარჯის დასაფარაგად, რომელსაც აღრიცხული ქალაქის შემოსავა-ლი კერა ჭიათურავს. 19 აპრილიდამ იღებენ ურმებზე—თრ შაურს და ქალაქის მოედნებზე მორცეილ საჭარბეზე ერთს შაურს, ცხენაზე—თრ კაპეიკს.

\* \* \*

თბილისის სასულიერო სემინარის ინსპექტორი ბ-ნი შატოცევი, უწიმინდესის სინოდის განკარგულების ქადაგში იქმნა პერმის სემინარის ინსპექტორად.

(საყურადღებო)

(გერმენის ცხოვრებიდამ).

ფილოსოფოსი სოკრატი ამბობდა ხოლმე: გამოუსადეგი ადამიანი იმისათვის სცხოვრებს ქეყანაზედ, რომ ჭიგას და ჭამოს; გეთილის მომწევდი კი ჭიგას და სჭიმს იმისათვის, რომ იცოცხელოს.

ერთხელ არისტიონი სადილად იქმ. მიწეული დიონისისთან, და დიდ საპატიო ადგილზე დასკეს—დიონისის გეერდით. მეორე დღეს სუფრის ბოლოში დასკეს. „როგორ ჰყიქობა,“ ჰყითხა დიონისიმ, დღევანდელი ადგილი სკობს, თუ გუშინ, რომ გეჭირდა?

— „მე ვუიქობა, რომ ამათში გარჩევა არ არის: მე ერთ-გვარ საპატიო ადგილად გნდი თრივეს!—მიუგო არისტიონა.

მევე ფილოპე ერთს ჭაცს ასამართლებდა. საქმის გარჩევის დროს ჩასთვლიმა, გამოიღვიძა და დასჭა გადაუწევიტა ამ ჭაცს. გამტეუნებულმა ამაქად უთხრა: მე ხელ-მეორედ კიჩივდე.

— „ვისთან?“ ჰესენინა გაპრაზებულმა მევემ. — „ისევ შენ-თან სეღმწითებე, თუ რომ აღარ დაიძინება!—უპასუხა გამტეუნებულმა. ფილოპემ მეორედ მოისმინა ამ ჭაცის გამამართლებელი სა-ბუთები და არამც თუ გაამართდა,—თავის თანაც კი ჭარიმა და-დო გამარჯებულის სასარგებლოდ.

(ପାଶାନତଳି)।

ერთსელ, როცა გიქტოდ ჸიუგო სწერდა „Тружениковъ Моря“-ს, შეკვიდა თავის მზარეულ ქადან, წაკუთხა ამ თხზულებიდამ რამდენიმე თავი და ჩეკითხა: მოგწონს ეს თხზულება თუ არა. იმან შესედა ჸიუგოს და უთხრა: „აას ბატონო ჩემთ, თუმცა მე უბრალო, უსწივდელი ღიღა-გარი ვარ, მაგრამ შემრცხევა-ბოდა კი მაგისტანა სიღეგვენე ღამენია.“

ჩინოვნივები სთხოვეს საზინადაცს წინ-და-წინ ჭამაგილს. საზინადარი უარს კვიბიება.

— მოიღეთ მოწევალება, მომქნით, ძაღლის საჭიროა.

— კერა, კერ მოგცემ, კერგის კერ მივსცემ, მამა-წემი, რომ  
იუთხ, კერ მივსცემ. აა ივან თვალი მთხოვდა... მივეცი ღრმა თვის  
ჭამაზირი და... მოგვდა.

— ნე თუ აქვენ, შეტრ ღანოვის, ბბონდათ, რომ მე მაგა-  
სთანა სისულეებს ჩავიძენ.

ଶ୍ରୀଦିଲ୍ଲିଂ, ତଥୀପିଲ୍ଲି ଆମେଷାତ୍ମକ, କୌଣସିଲ୍ଲାଙ୍କ ମହାନ୍ତିର୍ଯ୍ୟ କୋମିଶିଲ୍ଲାଙ୍କ ଗ୍ରାମାବ୍ୟାଧିରେ—  
ଫଳିନ୍ତାର,—ଗୁରୁତ୍ବିର୍ଦ୍ଦିଷ୍ଟ, ମାତ୍ରାବିର୍ଦ୍ଦିଷ୍ଟ ମହାନ୍ତିର୍ଯ୍ୟ ଜ୍ଞାନଶକ୍ତିରେ ଫଳିନ୍ତାର ଏହାରେ କୋଣାର୍କ ଅନ୍ତର୍ଗତ?

— დანა რო მქონდა, ბ. „სულიკა“, ერთ-ორ გარეანქას მო-  
გვირდი და დასარჩენს იქნება დაგროვებდი, მაგრამ ამ უდანობამ მეტ  
ზარდადი მომცა და ყასაბსაფ! მეტი რა ჩარა იყო, მთელი ფეხშია  
უნდა დამტორია. ი კვრანა „მედოვეპეპ“, ფეხების შინ მატანაში  
ერთდ გავალდ აბაზი ამაძრო.

— რაგოდ არა გრცეკენიან — ეუბნება შეურაცხელუთილი — ნუ თუ დაგავიწდა, რომ ჩექნ „კეთილშობილთ“ კლუბში კართ.

— იმ კლუბს, „კეთილშობილთ“ კლუბად ვან უწოდებს, სა- დაც მე და შენ წევრებად ვითვლებით. — უპასუხა მეორემ დაცინ- ვთ.

— თეატრში მიმავალი ქალბატონი თავის მზარეულ დედაქაცს ეუბნება:

— ჩექნ „უფაროს ქორწილზე“ მივდივართ, რომელიც 12 საათზე გათავდება. ეცადე რომ ვახშამი მზად დაგვასტედრო.

— დავავარო, ქალბატონო, ვახშამად შინ დაპრუნდებით?

— რასაკვირელია დავპრუნდებით.

— დიდება შენთვის ღმერთო! მაშ რაღა ქორწილია. თუ ვახ- შამსაც არ გაშემევნ.

რედაქტორი და გამოხცეველი. ალ. ნაბიერიძე.

## ვ ა ნ ლ ბ ა დ ე პ ა ნ ი

 დღეს, კვირას, 8 მაისს, ბანკის თეატრში, რუსელად იქნება წარმოდგენილი: „მოგზაურობა დედა- მიწის გარშემო 80 დღის განმავლობაში — ფერია 5 მოქმედ. და 15 სურათად.

დაბიჭვნება და ისეიდება

გრ. ჩარეკეანის ქართული წიგნის მაღაზიაში.

გ რ ა მ მ ა ტ ი კ ა

შეღენილი არ. მუთათელაძისაგან.

ვასი 40 პაპ.